რუბიკონი

კვირეული ორგანო

სრულიად საქართველოს ახალი მწერლობის კავშირი

№ 3

კვირა 4 თებერვალის 1923 წ.

ფასი 10 ათასი მან.

მისამართი: ტფილისი. ხელოვნების სასახლე სერგ. ქ. № 13 ტელ. 17—51

სამი საფლავი

Еще кого не досчитались вы?
Кто изменил пленительной привычке?
Чей глас умолк на братской перекличке?
Кто не пришел? Кого меж вами нет?

А. Пушкин.

ჩვენი კავშირი მე მაგონებს იმ „ოც-და—ათს", რომელთაც მიმართავს პუშკინი თავის ლექსით.

ახალი მწერლობა შეკრულია ერთ კავშირად არა მარტო შემოქმედებით, არამედ სიყვარულითაც.

და ჩვენს ვიწრო ოჯახს, განათებულს სიყვარულით, თანდათან აკლდება ძვირფასი სახელები.

შარშან ორი საფლავი: პოეტესსა ლილი მეუნარგია; პოეტი გიონ სავანელი.

წლეულს ამ ძვირფას საფლავებს ემატება ახალი სამარე: პოეტის შალვა კარმელის.

სამივე სიკვდილი სხვანაირი: სავანელი—თვითმკვლელი; ხოლო ორი მეოცნებე ნიამორი: ლილი მეუნარგია და შალვა კარმელი—მსხვერპლნი ტუბერკულოზის.

სამივე სიკვდილი ორმაგად სამწუხარო: სამივენი იყვნენ ყველაზე ახალგაზრდა წევრები ჩვენი წმინდა კავშირის. მათი სახით ჩვენ ვგლოვობთ ჩვენს უმცროს დას და ჩვენს უმცროს ძმებს.

ეს სახელები დარჩება ჩვენთვის მუდმივ მოსაგონარად. ჩვენი კავშირის დღეს, როცა ყოველწლიურად „ოც-და-ათი" ერთად შევიკრიბებით, ამ სამი უმცროსი პოეტების ადგილები ისევ ცარიელი დარჩება. მათ ადგილს ვერავინ დაიჭერს, რადგან ისინი ისევ ჩვენთან გვეგულება. და ჩვენ გვჯერა, რომ პეანის მღერის დროს ისინი შემოგვიერთებენ თავიანთ ხმებს.

კარმელი—მართალი.

1915 წელს შემოდგომაზე ჩემთან მოვიდა ბავში, რომელმაც დამიტოვა რვეული ლექსების და თითქმის ვერაფერი ვერ მითხრა. ის იყო როგორც ნიბლია. გადავიკითხე ლექსები და იმ ღამესვე წაველი ვალერიან გაფრინდაშვილთან. ბავშურ შთაგონებაში, ჩვენ დავინახეთ მომავალი ძმა ჩვენს ორდენში შალვა კარმელი. იმ დღიდან ჩვენ ძმები ვიყავით. როდესაც ქუთაისი მთელის შემადგენლობით, ხვდა ცისფერი ყანწების პირველ რვეულს, შალვა კარმელი მას გულთან ატარებდა, და ის გახდა წევრი ჩვენი ღამეების, და ჩვენი მარტოობის. ის მუდამ სუსტი და გაფითრებული იყო. ჩვენ მას ვუფრთხილდით, ვაიმედებდით, თუმცა გვეშინოდა, მითუმეტეს მაშინ, როდესაც ის ყოველთვის ჩემი, ცრემლებით გვეტყოდა თავის დების სიკვდილის ამბავს. ეს ორი კუბო, მან შემდეგში გააზღაპრა ვარდის სურნელებით დაწერილ ლექსებში.

შალვა კარმელი ჩუქურთმების ოსტატი იყო პოეზიაში. ყველა მისი ლექსი ამოჭრილი იყო მარმარილოზე თუ სპილენძზე. მას როგორც მავარეულს იტაცებდა რითმა, და ლექსის გამართულობით, ის ყოველთვის საკვირველი იყო. ის რითმაზე ჰფიქრობდა ისევე, როგორც თავის ტუბერკულოზზე. მისი ლექსი ხშირად გაუგებარი იყო, მაგრამ არასოდეს არ იყო გაუგებარი მისი რითმა. ყველაზე დიდი სიხარული ცხოვრებისა იყო მისი წიგნი ლექსების „ბაბილონი", ეს წიგნი იყო მისთვის იმედი, ამ წიგნით გრძნობდა ის სიცოცხლეს, თუმც იცოდა რომ მისი ფილტვები ჰქნებოდენ და იცოდა რას ნიშნავდა ხშირი სისხლი მის ბავშურ პირზე.

შარშან აღდგომას, მან ყოველთვის სიცხიანი ხელით მომიტანა სიონიდან სანთელი, და აღდგომის სუფრაზე ის რძის მეტს ვერაფერს სვამდა.

უკანასკნელ თვეში ჩვენ უკვე დავრწმუნდით, რომ შალვა კარმელი ქუთაისიდან ველარ დაგვიბრუნდებოდა.

პირველი ტრაფი-ყანწელების. ჩვენ წავიღებთ ქუთაისში პირველ გვირგვინს პოეტების ორდენის სახელით.

ყველაზე უნცროსი ძმა. ყველაზე უფრო ჩემი და გაფითრებული. დავკარგეთ ქუთაისში უბედური დურგლის ფიცრულ ქოხში. ამ ქოხიდან ხუთშაბათს გამოიტანეთ მეოთხე კუბოს ამოწყვეტილ შვილებისას.

პავლე იაშვილი.

შალვა კარმელი.

ყოველი სიტყვა პოეტზე, რომელიც ტუბერკულოზით მოკვდება უსათუოდ უნდა დაიწყოს ლაფორგით. არის ამ შემთხვევაში მიმსგავსება: როგორც არ იცვლება ტექსტი სახარების და სიტყვები პანაშვიდის, მიცვალებულზე, როგორც ხშირი გამეორება არ უკარგავს ამ რიტუალს პირველ ატირებას და უდიდეს მწუხარებას, ისე კანონისტური დარჩება პოეტებისთვის ლაფორგი, როცა მას დადგება თავს „ტუბერკულოზის ენტიკელიაციით"... სულ ერთია როდის იქნება ეს „პატარა უძლურება"-„მაისში" თუ „აგვისტოში".

Бродит насморк по спальням учеников
На каминах лекарственные эликсиры
Туберкулез опечатал квартиры
О, несчастье больших городов.

შალვა კარმელიც ავადდა პანსიონიდან სასეირნოთ გამოყვანილ ქალწულს, რომელსაც წვიმის დროს დაავიწყდა მუფტა... „იმასაც შესცივდა და ამიტომ მოკვდა"... ასე ატირებდა მისს ლექსს ლაფორგს და ასეთი იყო თვითონ მისი ეპიტაფია.

შალვა კარმელი ჯერ სულ ბავში იყო, თუ ტუბერკულოზს არ მიეცა მისთვის სიკვდილის დაფიქრება და ელეგიის დაწყევლა მაშინ. ის ვერც კი მოასწრებდა პოეტათ გახდომას: მაგრამ თვითონ ეს სენი თავის მსხვერპლს, მაინც აძლევს საშუალებას ფიქრით გაიაროს ადამიანის ცხოვრება... ეს არის, რომ თითქოს ფიქრით დასუსხავს ჯერ გაუშლელ ყრმას.. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ კარმელი უთუოდ დასრულებული პოეტი იყო... ტემით, ხმის დამწიფებით და თავის ბედის გამოტირებით... მე მესმის ამდროს ეს ატირებული ჰიანური პატარა ბავშის, რომელიც თვითონ მიტირის თავის თეთრ კუბოს.

რაც არ უნდა მისტიური იყოს სიკვდილი და საშინელი პარადოქსალი შედარება, მაინც მართალია პოეტი, რომელმაც აღიარა პოეტის კარიერათ ეს ტრირემა. „თავის მკვლელობა, ჰლექი და სიგიჟე"... ტუბერკულოზი აკეთილშობილებს სიკვდილს, ეს გულგრილი გადასვლა ყოფნის გადაღმა-თვითონ ტემაა პოეზიის.. და არის გამართლება იმაში, როცა დადგება წამი, შენ თვითონ შეგიშინდება გულგრილობის და სკეპსისის და ცრემლები თვითონ მოდიან. და ან ვინ დაიზოგავს ცრემლებს ამ ბავშვისათვის, რომელიც ადრე გადაფრენილ ბარტყივით ერთხელ სიზმარივით მოევლინა ტფილისის ქუჩებს. რომ გეჩვენებოდა ჩვენ პოეტებს, და შემდეგ სამუდამოთ დაემშვიდობებით თავის სიკვდილით.

თვითონ მაგნო შალვა კარმელმა თავის სასაფლაოსავით მდუმარე „მკვდარ ბრიუგეს" და ბავში, რომელიც ყოველ წამი თავისი მოკლე სიცოცხლის ყველაზე უფრო ნაწყალები იყო პოეტის სახელით... მოკვდება ისე, რომ ერთი პოეტიც არ ესწრება მის სიკვდილს... არ შეიძლება შეცოდება პოეტის, რომელიც დამწვარია შემოქმედების ცეცხლით, მაგრამ ეს არის სხვა შეცოდება, აქ შენი თავი უფრო გეცოდება.

მე მაგონდება პირველი მისი ლექსები, რომელიც მე დავბეჭდე „საქართველოში", მე მაშინვე გამაკვირვა მისმა სინაზემ და ფორმის სისრულემ, შემდეგ ჩემი შეხვედრები უფრო აღრმავებდენ ჩემ სიყვარულს ამ მოკრძალებულ და ენაზეს ბავშისადმი, რომელსაც ერთი სიყვედური არასდროს არ წამოცდენია, და რომელმაც იცოდა ჩვენი ლექსები, როგორც შეიძლება არც თვითონ ავტორებმა იცოდენ. იმიტომ იყო, რომ თუმცა ის დაცილებული იყო ხნით „ცისფერ ყანწებს" მაინც შემოვიდა ამ ორდენში... თუ „ცისფერ ყანწების" გამართლება როგორც ორდენის, არის მისტიური სიყვარული, სამუდამო მეგობრობა და ძმობა, მაშინ შალვა კარმელი იყო უმცროსი და საყვარელი ძმა ბენიამინ...და ჩვენ ვწუხვართ ყოველ იმ დღისთვის, რომლის მიმატებაც შეიძლებოდა მისი სიცოცხლისთვის, თუმცა განწირვა ალბად მის დაებედა ისე, როგორც პოეტობა. იყოს კურთხეული ამ „ბავშის მოგზაურობა" ანთებულ სულით და „განაწამებ ლაყუჩებით" იმ ქვეყანაში სადაც პოეტები კიდევ შეხვდებიან ერთმანეთს სულის ატირებით. მისი სპეტაკი სულის ატირებით. მისი სპეტაკი სული და უცოდველი ყრმის ცხოვრება სამუდამო მოგონება პოეზიის სიწმიდის... და გამართლება ამ სტროფების თუ ის ცრემლები, რომელიც დაედინება პირველ დღეუბელ მართლა ხორციელ ძმას ჩვენი ორდენისას, რომელმაც კარმელი მონოზონის სიწმიდით გაიარა თავისი გზა პოეზიაში და წუთიერ ჩვენებით დადაღა ჩვენი სული სამუდამო სიყვარულით და სამუდამო ატირებით.

ტიციან ტაბიძე

შალვა კარმელი.

მართლაც საშინელია პოეტის კარიერა. ერთი წლის განმავლობაში სამი მსხვერპლი ჰლექის და თვითმკვლელობის: სავანელი, ლილი მეუნარგია და შალვა კარმელი.

თანდათან მცირდება საბედისწერო ნიამორების რიცხვი.

ქართული პოეზიის მითოლოგიას შემატა კიდევ ერთი უსპეტაკესი სახელი, კიდევ ერთი გმირი.

შალვა კარმელი უპირველეს ყოვლისა რითმის კავალერი იყო. არც ერთი ქართველი პოეტი ისეთი დაუღალავი სისწორით არ ანხორციელებდა თავის ლექსებში ფორმულას ქალურ და ვაჟურ რითმების შესახებ, როგორც შალვა კარმელი. თავის ავტოპორტრეტში ის კიდევაც ამბობს: „პირველათ რითმა რომ გავმართე ქართულ ლექსებში.!"

შალვას უყვარდა თავგამეტებით ქართული პოეზია და ის იყო შესანიშნავი მცოდნე მთელი თანამედროვე პოეზიის. ბევრი ახალი რითმები შესძინა შალვამ ქართულ პოეზიას. თავის მტერს—ტუბერკულოზს ის თითქმის არ ეხებოდა თავის ლექსებში. ალბათ ძნელია ფამილიარობა თუნდაც შემოქმედებით იმ კოშმარულ სენთან—რომლის სახელია თვითმპყრობელი ტუბერკულოზი.

მორის როლინამ—ბოდლერის მემკვიდრემ, ფრანგულ პოეზიის ყველაზე უფრო დიდმა ნევრასტენიკმა დაახასიათა თავისი შემოქმედება, როგორც „აგონია კიდევ შეგნებული სიგიჟის."

შალვამ ააბილა თავისი სულიერი ტანჯვა ჰლექით გამოწვეული, სონეტში რომელშიდაც მიმართავს ორ მეგობარ დას—მეფისქალებს ტრაუბეზე:

კარგი რომ ჩემში ნილაბებით მამაკაცია,
და ვიტან გრიგალს, სასიკვდილოთ გულს რომ აკუჩებს,—
თორემ ვიხრჩობ და ვერავის ვერ ვიხოვ ლაყუჩებს.

მთელი აგონია შალვა კარმელის, აგონია ფარული და მით უმეტეს წამებული, ჰლექის ამ „ლაყუჩებით." თითქოს ის გადმოსროლილი იყო როგორც თევზი წყლის სტიქიიდან ხმელეთზე და იხრჩობოდა. მისი აჭმეის დაუფასებელი შედევრი „სანბენიტო"—ჰლექის ამღერება.

მას უყვარდა ეგზოტიური თემები: ბაბილონი, სარდანაპალი, კართაგენი, სემირამიდის ბაღი, ერანი, იუდეის ასული სალამბოს ტრირემა. ამ თემების დამუშავებაში ის იყო ნამდვილი პარნასელი, იმავე დროს შალვა კარმელი აფასებდა პოეტებს—სიმვოლისტებს: ბოდლერს, პოლ ვერლენს, გიუისმანსის გმირს გადაგვარებულ თავადს დეზესენტს.

როგორც ნამდვილი პარნასელი ის ამშვენებდა თავის ლექსებს მდიდარი და უქმელი რითმებით. ასონანსი იშვიათი სტუმარია მისი ლექსების.

თითქმის პროვიდენციალურია ეს სტრიქონები ლექსიდან: „ქუთაისი-მკვდარი ბრიუგგე"

„გუშინ ვაგონში ფერმკრთალები შემობდენ ქლემბე.
„ისროდა ველებს სეკტორებათ უცხო მედიასკე,
„მე კი მათრობდა მხოლოდ ერთი ძვირფასი ლექსი:
„მიმქონდა ხსოვნა ელენესი იმეოვიისკენ".
მკვდარო ქალაქო გიღვიძე: მოვიდენ მეფეები
და მოახლოვდა შებრძოლება, სიოვდურე დილის,
დაუტირებლად შენ ცოდიან გრიგალში ქრები,
როს ყველა ცრემლი დაუტევე საყვარელ ტფილის.
. . . .
მშობელო მიწავ! ორივენი ვართ წყეული,
და ვერ ავცდებით დამარცხებას, სიროვილს, უმწეობას.

ამავე ლექსში არის ასეთი მოულოდნელი სახეები: „და ლამდებიან ოცნებები როდენზისებით". „როგორც პრინცესსა მელოდიარე გვეურჩება მოწყენა,".

შალვა კარმელმა იცოდა გაზიდული თქმა ახალი სიტყვის; ერთ მის ლექსში არის ასეთი რითმა: მორჩილი—დანორჩილი. სიტყვა ნორჩი იმან მოაბრუნა, როგორც დიდმა ოსტატმა და შესძინა ქართული პოეზიას ახალი რითმა და ახალი სიტყვა. ის ბევრს მუშაობდა ლექსზე: მან სთარგმნა ალბერ სამენის „ვერსალი" და მე შემთხვევით ხელთ ჩამივარდა ოთხი ვარიანტი ამ თარგმანის. პოეზია და ლექსი იყო სტიქია შალვა კარმელის. ის კულტოფელი იყო ზედმიწევნით და იყო ხიმხები, რომ ის გახდებოდა ქართული პოეზიის ტეოდორ დე-ბანვილი, რომელსაც განსაკუთრებით უყვარდა რითმა და იმავე დროს ჭეშმარიტ პოეტად ითვლებოდა. შალვა კარმელის ლექსი „არტემიდა" რომელიც მე ვთარგმნე რუსულ ენაზე, ალეკხლებს მითოლოგიას და გამოხატავს მის პირად ილტვაცების ქალის წინაშე:

ჩვენი სალამი სურნელია ხრიზანტემიდან:
ვბედავ მთვარიდან გადმოვხვე ცის არტემიდა,
მიჰქრის მწუხრებით სანდორონით, როგორც გრიგალი.
ვიცი შენც წახვალ! გზა გეშლება ვარდის ტაძრებათ.
დაგედევნება არტემიდის ერთგულ მწუხრებათ:—
ჩემი სონეტი, ჩემი რონდო და მადრიგალი.

სონეტის ფორმა ემორჩილებოდა „ბაბილონის" ავტორს და აქაც ცნობს მისი ჰარმონიულობა. მის პატარა წიგნში ათი სონეტია. უფრო ხშირად წარმოუდგენია სახეები აღემატებოდნენ მის ფანტაზიის და ყოველდღიურ ცხოვრებასთან მას თითქმის კავშირი არ ჰქონდა.

სულ ხშირად იგონებდა ის ედგარ პოეს და სიკვდილის ყორანი უკანასკნელად გამოცხადდა მას და ახალგაზრდა, პოეტურ იმედებით სავსეს მიესალმა ულმობელი სალამით. „Nevermor"

ვალერიან გაფრინდაშვილი.

შალვა კარმელი

მე მეძნელება დაფიქრება შალვა კარმელის სიკვდილზე...

შეიძლება საკუთარ თავზე უფრო იოლად დამეწერა ნეკროლოგი:—

ასე მეხ-დაცემული არ ვყოფილვარ, როცა შალვა კარმელის ხელებზე მოკვდა ჩემი ქეთევან. მისი ნათლული: დეპეშით მოტანილი ამბავი მისი სიკვდილის ალემატება ამ მწუხარებას.

მე მინდა მოვიგონო ჩვენი ერთად ცხოვრება, სავსე ქუთაისის მთვარეებით... ტფილისის ელექტრონით, ბათუმის წვიმებით. მაგრამ თვალები გაყინულა ცრემლებით, და მაგონდება მხოლოდ მისი მოგრძო სახე... გამხდარ ლაწვებზე ოდნავ ჰროლ დაყრილი, რომელსაც ის ხშირათ ჰლექით იფარავდა... მწვანე დაყრილი სიარული პროსპექტზე მარტო ჩაცმისას... და მისი სქელი ტუჩები, გრიბოედოვის ქუჩაზე კუბოსავით ვიწრო ოთახში სისხლით შეღებილი... ის აღარ ლაპარაკობდა: ეშინოდა თავის ხმის. და წამწამები ყოველთვის დახრილი ჰქონდა... ალბათ გრძნობდა სამარის სიცივეს, რადგან თვალებს მაშინ გაახელდა, როცა კუბოზე დატანებულ ფანჯარიდან მზე შემოვიდოდა.

ქუთაისში წასვლის წინა დღეს, თვალგახელილი დამხვდა, ყვავილები, სასთუმალთან ეწყო, რომლებიც ტიციანმა და ნინამ მოუტანეთ და მათივე სურაში ჩამლეჯებოდა... როცა სურა ყვავილებით თავიან ახლოს დადგეს, თვალები ისევ დახურა...

შემდეგ აღარ მინახავს.

რაჟდენ გვეტაძე

შალვა კარმელი

(ბიოგრაფიული ცნობები)

დაიბადა 1898 წ. ქ. ქუთაისში.

მისი ნამდვილი გვარი: გოგიაშვილი.

შვილი ღარიბი მშობლების-მამამისს ჰქონდა ქუთაისში აქეს დურგლის პატარა სახელოსნო. მიუხედავად სიღარიბისა პაველ გოგიაშვილი ყველა თავის შვილებს აძლევს სასწავლებელში, მაგრამ ჰლექით ელევა რამდენიმე წელიწადში ჯერ ორი ქალი და შემდეგ ვაჟი-შალვას უნცროსი ძმა. უკანასკნელი უბედურებამ-შალვას სიკვდილმა-დაალიკვიდა მისი ოჯახი.

შალვა სწავლობდა ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში და შესანიშნავად დაასრულა კურსი 1916 წ. პირველი ლექსი „რითმა" დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოში" 1915 წ. ის და [illegible] პირველი სიულებით ახალგაზრდა პოეტები იყვნენ, რომელნიც დაადგნენ „ცისფერებს ყანწელებს" და 1915 წლიდან იწყება მათი განუწყვეტელი კავშირი და მეგობრობა პოეტების ორდენთან. 1921 წელს ორივე პოეტი შედიან ორდენში როგორც ნამდვილი წევრები. 1920 წ. შალვა კარმელი ჩაირიცხა თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტად, სიტყვიერების ფაკულტეტზე. ჰლექის ნიშნები დაეტყო გიმნაზიის უკანასკნელ კლასებში, თბილისში ჩამოსვლის შემდეგ ეს სენი უკვე საშიში შეიქნა მისი ჯანმრთელობისთვის და 1922 წელს მეგობრები აგზავნიან მას აბასთუმნის სანატორიუმში. აბასთუმანში, მხოლოდ დროებით, შეჩერდა ფილტვების პროცესი, თბილისში დაბრუნების პოეტი გაცივდა, დაემართა ითება, ფილტვების პროცესმა კატასტროფული სახე მიიღო და ერთი კვირის განმავლობაში გაგრძელდა პირიდან სისხლის დენა. ექიმ [illegible] მეთვალყურეობის და სიათა მიღებულ ზომებით, შეჩერებულ იქმნა სისხლის დენა, გადაწყვეტილი იყო მისი სოხუმში გაგზავნა, მაგრამ ეს საშიში გამოდგა პოეტის ნამეტნავად დასუსტების მიზეზით. ამავე დროს, დედის სურვილით, ის წაყვანილ იქნა ქუთაისში, მშობლებთან. უკანასკნელი ოთხი თვე შალვა ლოგინს არ გაშორებია. 19 იანვარს ჩავეტია ენა და 25 იანვარს ღამის პირველ საათზე გადაიცვალა, სრულებით დაწრეტილი სისხლისაგან. სიკვდილის წინ შეძლო რამდენიმე სიტყვის თქმა: უკანასკნელ მისი სურვილი იყო, რომ მის დაკრძალვას დაესწრეს მისი მეგობრები ახალი მწერლობის კავშირიდან. გასვენება გადადებულ იქმნა [illegible] პირველ თებერვლისათვის. [illegible] ქუთაისში [illegible]. შალვა კარმელი თანამშრომლობდა: „საქართველოში", „სამშობლოში" „მეოცნებე ნიამორებში" „ბარიკადში" „ბახტრიონში", [illegible] სრ. საქ. ახალი მწერლობის [illegible] და ყველაზე [illegible] იყო „ცისფერი ყანწების" ორდენში. გამოსცა პირველი ლექსთა კრებული „ბაბილონი". [illegible] ლექსი, რომელნიც მოთავსებული იქნებიან ჯერ [illegible] „რუბიკონში" და შემდეგ კავშირის მიერ გამოცემულ იქნებიან ცალკე კრებულად.

შალვა დადიანი

ქართული ლიტერატურა

შალვა დადიანი მიეცა თავის პიროვნებით „გვრიტის“ მოლექმულეა: ვკარი [illegible] ... ნიჭი. [illegible]

[illegible]

შალვა დადიანს აქვს „ჯვარედინი“ მანერა: წარსულს ღებას მაზე ... [illegible] ... შალვა დადიანი, რომელიც ისტორიითა და ისტორიულით (თითქო „გადასულით“) ცოცხლობს მარტოოდენ, გრძნობს „ახალსაც“. დეკადანსში ყოველთვის არის ახალის წინაგრძნობა (დეკადანსი ლათინური გაგებით). შალვა დადიანის ნოველებში მოისმის უთუოდ „მოდერნის“ ხაზი. „ახალი მწერლობის კავშირი“ მოვალეა აღნიშნოს ეს. აქ უფრო „მოქროლეის“ გზნებაზეა ლაპარაკი.

უდიდესი ბედნიერება ადამიანისა — ... [illegible] ... შალვა დადიანი თავის დღეს — სასწაულზე უთუოდ მიიღებს ამ ბედნიერებას.

გრიგოლ რობაქიძე.

[illegible]

ტიციან ტაბიძე.

შალვა დადიანი.

შალვა დადიანი იმ ძველ ქართველთაგანია, რომელიც აქამდე ... [illegible]

[illegible]

მაგრამ, სამაგიეროდ აქ არ არის ის სუროგატი ვითომ და მშობლიურ ნიადაგის, რომლითაც დღეს უნდა უწეიენ ... [illegible]

... შალვა დადიანის ცოდნა და სწავლა...

ნიკოლოზ ვერვენოვი, ერთი საუკ- [illegible]

შალვა დადიანი

შალვა დადიანის პიესებს აქვთ ერთი ღირსება: მარტივი ხლართი და მისი ... [illegible]

[illegible]

„ბებერი“, სახლეურგოთ სწავლა მიღებული, ... [illegible]

„გუშინდელნი“ უკვე სახელწოდებით იძლევა ... [illegible]

[illegible]

მოხსენება როზანოვზე.

[illegible] ... როზანოვის ... [illegible]

[illegible]

შალვა აფხაიძე.

შალვა კარმელი.

რჩეული ლექსები.

ავტოპორტრეტი პროფილში.

დავკარგე გვარი, შევამცირე მისი გაისი
და ცრუ სახელად ავირჩიე კარმელი ძეირი.
ახ! ალბათ ვინმეს ვეგონები ულაზნოს მწირი,
სხვა უდაბნოა საქართველო და ქუთაისი.

მისდევს ლეილას პაშიშებით გიჟი ყაისი.
მაგრამ ინფანტას ბრმა თვალებზე მე უფრო ვტირი
გადიფრენს ქარი მკვდარ ქვეყნებზე ლანდებით ხშირი
ჩემთან ლოცვებში მოლოზანად მოვა თაისი.

მეფისტოფელის წამოსასხამს ვჭმლი ცეპელინად,
რომ გავიდეენ პოეზიის ყველა მიზნები;
მე მას კარმელი—ვით მონასტერს,—შევეხიზნები.

ვტრიალებ დამწვარ არაბებში მზიურ ელვინად.
ვიცი: უთუოდ სამაგრო მაქვს როფლექსებში:
პირველად რითმა რომ გავმართე ქართულ ლექსებში!

ერანის ხარკეში.

მზის გახურებულ ბრაზმა
მიწა გარუჯა წვიდან.
ცეცხლის მკრთბელმა რაზმმა
დაიგვიანა ციდან.
ორმუზდ—არიმანს შებმით
აღარ დაუდგა ბოლო.
მე შენ ჩაგცქერი შვებით
დამწვარ შირაზის ბოლო.
ელოდენ ამაყ კიროსს,
ვით მომტანს ძეირფას ამბის:
წავიდა ბაბილონ-ტიროსს,
და რუბ ეგვიპტეს კამბიზ.
პარამხანების ვნება,
ჯალალ-ედინის რუმი,
ჩვენთვის იქნება ნთება
და მთვარეები ჩუმი.
და ჩემ ნიზამის მღერას
და თვით მშვენიერ გაფიზ
და ხეიამის ცრემლს
ჰკოცნის ლუთიება ქალის.
ებედავ გარინდულ ბალიშს.
არობას პაშიშით იშვებს...
და ხან ავიელებს ქალებს
ჰრელ ხალიჩაზე შიშველს!

გამოთხოვება ხულთან ავათმყოფ სხეულის

სული მისმინე: არ გაუშვა ფიქრთა სიდავე.
ვიცი შენ გქვია: ჩემ სხეულის ხანმოკლე ღამური.
მოგეხსენება, რომ თეთრი ჩვენ გვქონდა ამური.
თუმცა სიცქვია—რად მიგწონდა ეს სისადავე!

შენთან დუელში მე ოცნება დიდხანს ვიდავე.
შენ გაიმარჯვე. შენ მრავალში აღმარი მეური.
მასკარადებში მნელ ნილაბით წაიღე მური.
ვწუხვარ: ტოლობა შენთან [illegible] რომ გავათავე!

[illegible]

შენ წახვალ მზესავით! [illegible]
[illegible]
ახ! სული ჩემო: [illegible]

ხემირამიდის ბაღი.

[illegible]
ხემირამიდის ბაღი,
[illegible]
და მთის ოდენა ტალი.

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]
შენ დუდოუელი ხვედს!

...ლიო. როცა პირველად ამ კავშირით ...ურა იაკვე აბრამს, ნიშნად წინადაცვეთის. როზანოვის ფიქრით წინადაცვეთა ხირურგიული მოვლენა კი არ არის, არამედ მისტიური. რატომ ... და მაინც წინადაცვეთაო? როზანოვ უპასუხებს: ეს იმის გამო, რომ ... და ადამიანის შორის არის სქესური კავშირი. სქესობრივ შორის მის... ინტიმიური. როზანოვის ... ღმერთი სქესით და სქესში ... როზანოვს მოჰყავს ... ერთი მაგალითი: იავკე თავს დაეცა მოსეს და მის ოჯახობას. მოსეს ცოლმა ... წინადაცვეთა მოახდინა ... და შესძახა იავკეს: „სისხლის ... ხარ ჩემთვის". იავკე მაშინვე მიხვდა ... და განშორდა მათ. როზანოვის სიტყვით აქ პირველი სექსუალური კავშირია მოცემული. დიდის ... მიაჩნევს როზანოვს წინადაცვეთის იუდეველის პოეტური ...ს, სადაც იავკე ისე ელაპარაკება ..., როგორც ნამდვილს საყვარელს და „დედაბერისათვის" სხვა ... თავის ცოცხალ სურვილს ... მას: ეს არის ბრწყინვალე(?) როზანოვის ინტუიციის.

ბიბლია როზანოვის სიტყვით „მამრის წიგნია" მრავალტოტებიანი და გძე... ყოველი ებრაული ხტილი(?) ... ხის ტანის ტოტის. აქედან: ... მიწიკა ებრაელის: ყოველი ებრაელი გვარში ფესვებიანი. თვითონ გვარი კი სქესით მჭიდროდ(?) და სქესში კი ღმერთის ელემენტები ისხირა(?). ებრაელობა გვარით არის ძლიერი. ეს ... მათს რიტუალში (ცხადდება „მილვა"): ღილს ორმოში ჩაანაფრქვ(?) ერთად დროგამოშვებით და წვერიან წყალს შესვამენ თითქო იმის ნიშნად, რომ ყველაფერში ისინი ერთნი არიან— თითქმის „წვერ(?)მიაც") არიელებს „მეორე პირის" უკეთ აქვთ: „ლოგიური განოტქმის" (—ლოგოსი, მეორე პირი). სემიტებს კი „პირველი პირის" უკეთ აქვთ ყველაფერში. არიელების დამახასიათებელია „ცმერი" (აღნიშნე როგორც ნიშანი პროცესის—„მეორე პირის) სემიტების დამახასიათებელია „წინადაცვეთა" (როგორც ნიშანი პირველის და პირველყოფის). აქედან: ანტროპოლოგიური სისუსტე არიელების და ანტროპოლოგიური სიძლიერე სემიტების.

ასეთი კონცეპციით როზანოვ უარყოფს ქრისტეანობას: „ქრისტეში გამწარდა ქვეყანა", ამბობს იგი უარმელით ერთს თავის წერილში. მართალია მერეჟკოვსკის სიტყვა: როზანოვ უფრო საშიშარია ქრისტეანობისათვის ვიდრე თვითონ ნიცშე.

ამ კონცეპციის პრიზმაში ატარებს როზანოვ ყოველს მოვლენას. ოილვი(?) თუ გინდ გოგოლი. მას არ ჰქონია სქესური პოლარიზაცია ქალისადმი. აქედან მის ქმნილებებში „მიცვალებულნი" ქალნი უფრო ცოცხალნი გამოდიან ვიდრე თვითონ ცოცხალნი—და, რაც უფრო საგულისხმოა, მიცვალებულნი ყველანი ლამაზნი და ახალგაზრდანი არიან.

დასასრულ მომხსენებელმა დაახასიათა როზანოვის სტილი: საოცარი თავის შემეცველობით და გამოთქმის სიძლიერით. ყოველი სიტყვა მისი დიდი ნამდვილი. მომხსენებელის სიტყვით, როზანოვის სტილი თითქმის თვითონ ნიცშეს სტილზე უფრო ძლიერია. როზანოვის სტილში არის ხაზი დოსტოევსკის დიალოგების. როზანოვის სტილით მრავალი ფუტურისტი სწერს ეხლა (თუ გინდ კრუჩონიხ).

მოხსენება დიდის ინტერესით იქნა მოსმენილი. საზოგადოება დიდძალი დაესწრო.

მომხსენებელის შემდეგ ილაპარაკა ტიციან ტაბიძემ. მთავარი ხაზი მისი სიტყვების ის იყო, რომ როზანოვ დამწყებია რუსულ ლიტერატურაში ცინიკური მიმდინარეობის.

კამათი არ ყოფილა.

ფილოლოგიაში თანდათან მეტს ინტერესს იწვევს ევროპიულ მეცნიერებაში. უკვე შეუდგნენ ნიკო მარის ყველა გამოკვლევათა თარგმნას გერმანულ ენაზე. თარგმანი მარის კაპიტალური შრომისა: „ძირეული ცნობები ძველი-ქართული ენის გრამატიკისა" უკვე დამზადებულია და ახლო ხანში გამოვა გერმანულად.

პროფ. ბრაუნის იაფეტიდოლოგიური გამოკვლევა.

გამოვიდა გერმანულ ენაზე წიგნი ლეიპციგის უნივერსიტეტის პროფესორის ბრაუნისა, შემდეგის სათაურით: **„ევროპის თავდაპირველი მოსახლეობა და გერმანელების წარმოშობილობა** (იაფეტური სტუდიები ევროპის ენისა და კულტურისათვის)." ბერლინი-შტუტგარტი-ლეიპციგი. 1922 წელი.

პროფ. ბრაუნი იზიარებს ნიკო მარრის იაფეტურ თეორიას. გერმანელი მეცნიერი მიდის იმ დასკვნამდე, რომ თავდაპირველი მოსახლეობა ევროპისა ეკუთვნოდა იაფეტურ რასსას (ე. ი. იმავე რასსას, რომელსაც ეკუთვნიან ქართველები). იაფეტური ენებიდან გერმანულ ენებს შეუთვისებია მრავალი კულტურული ტერმინები. გერმანული ენები დღევანდელის სახით გიბრიდული ენაა, და მასში ინდო-ევროპიული ლინგვისტური პლასტი არ სჭარბობს 70 პროცენტს. დანარჩენი 30 პროცენტი არ ეკუთვნის არიულ წყაროს და თავის ახსნას პოულობს იაფეტურ ენებში (ე. ი. ქართულსა და მის მონათესავე ენების ჯგუფში).

პროფ. ბრაუნის მოხსენებული წიგნი არის მხოლოდ პირველი ტომი მისი კაპიტალური გამოკვლევისა. ახლო მომავალში გამოქვეყნდება დანარჩენი ტომები.

პროფ. ბრაუნი ამ ჟამად ჰკითხულობს ლექციებს ლეიპციგის გერმანულ ენების პალეონტოლოგიაზე იაფეტური თვალსაზრისით.

ინსტიტუტი იაფეტურ ძიებათა.

რუსეთის სამეცნიერო აკადემიასთან დაარსდა ინსტიტუტი იაფეტურ ძიებათა. ინიციატორი ინსტიტუტის დაარსებისა და მისი ხელმძღვანელი არის ჩვენი თანამემამულე აკადემიკოსი ნიკოლოზ მაკრობის-ძე მარი. ინსტიტუტის ნამდვილ წევრთა და თანამშრომელთა შორის ითვლებიან: ი. ორბელი, ფ. როზენბერგი, ლ. შჩერბა, დ. პეტროვი, ი. მეშანინოვი, ი. ზარუბინი. ამას გარდა არიან კონსულტანტი-თანამშრომელნი. 1922 წლის პირველ ნახევარში ინსტიტუტს ჰქონდა 12 სამეცნიერო კრება, მოხსენებებით. უკვე გამოვიდა ინსტიტუტის გამოცემა **„იაფეტური კრებული."** ინსტიტუტის მუშაობის დიაპაზონს და მის მიზნებს აღნიშნავს ამ კრებულის შემადგენელი გამოკვლევები. კრებულში მოთავსებულია:

1. ბასკური ტერმინი ფლავათა(?) (ფრანგულად).
2. იაფეტიდიზმები გერმანულ ენებში
3. იაფეტიდიზმები ალბანურში
4. ტერმინი: სვეთი
5. ცხენი-ფრინველი, როგორც ტოტემი ურარტულ-ვანურ(?) ტომისა.
6. ტერმინი: ზასილეუს(?)
7. იაფეტიდოლოგიური მისვლა სემიტურ ენების პალეონტოლოგიასთან.

ყველა ეს გამოკვლევანი ეკუთვნიან ნიკოლოზ მარრს. ამას გარდა აქვე მოთავსებულია ი. მეშანინოვის გამოკვლევა: „რიცხვითი სახელები და მათი შეთანხმება ქალდურ ენებში."

ვერ უწევს(?) ეგრე რიცხვით და ეგრე ღირსებით ევროპიულ პრესას.

ჩინეთის წლიური კრებული 1921-1922 წლებისა (გამოცემულია ინგლისურად) შემდეგ ცნობებს გვაწვდის ჩინეთის პერიოდულ გამოცემებზე:

პირველი ადგილი პრესის მხრივ უჭირავს ჩინეთის სამხრეთ სატახტო ქალაქ-კანტონს, სადაც გამოდის 130 პერიოდული გამოცემა. შემდეგ ამას მისდევს ჩრდილოეთის სატახტო ქალაქი პეკინი სადაც იბეჭდება 119 გაზეთი. შანხაიში გამოდის 84 პერიოდული გამოცემა. დანარჩენ ქალაქებში და პროვინციებში 509. სულ საზოგადო ჯამი ჩინეთის გაზეთების-ჟურნალების 842.

ეს რიცხვი პერიოდულ გამოცემათა ისეთი დიდი ქვეყნისათვის, როგორიც ჩინეთია რასაკვირველია [illegible]. მარტო ლონდონში, მაგალითად, გამოდის 455 პერიოდული გამოცემა.

საზოგადოება ალბანეთის [illegible].

ბერლინში (ევროპაში) დაარსდა „საზოგადოება ალბანეთის [illegible]," რომელიც ისახავს [illegible] ალბანელის [illegible] საზოგადოებაში წარმოდგენილია ევროპა: სპარსეთი(?), იტალია, საბერძნეთ. საზოგადოება სხვათა შორის ისახავს ლიტერატურულ მიზნებს, და სურვილს [illegible] ალბანელთა ხალხთა შორის „ნამდვილი [illegible]" და „ჯანმრთელი ლიტერატურის" გზით. ამორჩეულია გამგეობა საზოგადოებისა და შემუშავებულია წესდება, რომელიც ნაწილობრივ კიდეც დაიბეჭდა. საზოგადოების პრეზიდენტად არჩეულია შეხ-ალ-ბეკი.

ორიენტალიზმი.

ფრანგულ ჟურნალში: „პოემეზე(?) ლიტერატურის შედარებითი შესწავლისა" დაბეჭდილია საყურადღებო წერილი ბალდენსპერჟე-სი [illegible] „ორიენტალიზმის შესახებ. იგი აღნიშნავს ინტერესის გაძლიერებას ორიენტალიზმისადმი, და აგრეთვე იმ გადაჭარბებულ წარმოდგენას რომელიც თანდათან [illegible] შესახებ, თითქო აზიის შემოქმედება უფრო მეტ ლიტერატურულ წარმოდგენას ვიდრე შემოქმედება დასავლეთისა.

ავტორი არ იზიარებს ამ გატაცებას ორიენტალიზმით, თუმცა აღმოსავლეთი [illegible] მისი აზრით [illegible] განსაკუთრებულ მისია. [illegible] ამ ბრძოლის პროცესში, რომელსაც აწარმოებს ჰუმანიზმი და იდეალიზმი თანამედროვე მეცნიერების [illegible] წინააღმდეგ [illegible] გამოიყენებს იმ ელემენტებს, რომელსაც იძლევა ინდოეთის პანთეისტური სიბრძნე [illegible] და ჩინეთისა და ისლამის [illegible] სიბრძნე მაგრამ [illegible] [illegible]

ინდოეთის ხელოვნება.

[illegible] მონაწილეობით გამოიცა შესანიშნავი ინდოეთის მინიატურები [illegible] კრებულად. ეს მინიატურები დიდ მხატვრულ ღირსებებს წარმოადგენს და როგორც ცნობილია ამ მინიატურების [illegible] შემოქმედებაზე.

მეცნიერმა [illegible] 14 [illegible].

100 წლის იუბილე [illegible] აზიის საზოგადოებისა.

1922 წელს პარიზში გადახდილ იქმნა ასი წლის იუბილე საფრანგეთის აზიის საზოგადოებისა, რომელმაც [illegible] აღმოსავლეთის შესწავლის საქმეში [illegible] ასი წლის თავს [illegible] ახსნის სახელოვანი შამპოლიონის მიერ. ამიტომ საზოგადოების იუბილესთან ერთად გადახდილ იქნა იუბილე ეგვიპტოლოგიის.

იუბილე პროფესორ ე. ბრაუნისა.

1922 წელს კემბრიჯში 60 წლის იუბილე გადაუხადეს სახელოვან ორიენტალისტს სპარსეთის ლიტერატურის ისტორიის საუკეთესო მეცნიერს ე. ბრაუნს. იუბილეში მონაწილეობა მიიღეს ორიენტალისტებმა როგორც ინგლისიდან, ისე ამერიკიდან, საფრანგეთიდან და გერმანიიდან.

ევროპა.

ფრანგული ჟურნალები.

საფრანგეთში ჯერ კიდევ არ არის სრულებით დასრულებული ის კრიზისი, რომელიც გამოიწვია ომმა. 1914 წლის ომის დროს უმრავლესობა ფრანგული ჟურნალების დაიხურა, რაც დარჩა ამ ჟურნალებიდან თითქმის ყველა გადავიდა [illegible] და [illegible] პატრიოტიზმს,

იაფეტიდოლოგია.

ნიკო მარრის მოგზაურობა ესპანიაში, ბასკების ქვეყანაში.

ჯერ კიდევ 1920 წლის დამდეგს აკადემიკოსმა ნიკო მარრმა იმოგზაურა ესპანიაში ბასკური ენის შესასწავლად. მარი ბასკური ენის ნათესაობის შესახებ ქართულთან კარგა ხანია რაც არკვევდა მეცნიერებაში მაგრამ ნიკო მარრის მიერ ახლო შესწავლამ ბასკური ენისა ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა. ბასკური ენა მთელი თავისი [illegible] აღმოჩნდა უახლოესად მონათესავე ქართველურ ენებისა და [illegible] რომ იგი ეკუთვნის იაფეტურ ენათა ჯგუფს.

1922 წლის შემოდგომაზე აკადემიკოსი ნიკო მარრი ხელმეორე გაემგზავრა ესპანიაში ბასკურ ენაზე მუშაობის გასაგრძელებლად და დამატებითი მასალების შესაკრებად. ესპანიიდან იგი დაბრუნდება 1923 წლის ზაფხულისათვის და აპირებს საქართველოში გამოვლას.

როგორც გადმოგვცემენ ნიკო მარრის გამოკვლევებს უდიდესი ინტერესი გამოუწვევია ბასკებს შორის. რომელიმე ახალგაზრდა ბასკი მეცნიერი აპირებენ მარრთან ერთად საქართველოში ჩამოსვლას ქართული ენისა და საქართველოს შესასწავლად.

ბასკების ქვეყანა, როგორც ცნობილია, მდებარეობს პირენეიში, ატლანტიკის ოკეანის ნაპირას, ესპანიის და საფრანგეთის საზღვართან. ბასკების რიცხვი აღწევს ერთ მილიონამდე.

ნიკო მარრის შრომები ევროპიულ ენებზე.

აკადემიკოს ნიკო მარრის იაფეტური თეორია, რომელიც ნამდვილ რევოლუციას წარმოადგენს თანამედროვე

აღმოსავლეთი.

პერიოდული გამოცემები თანამედროვე ჩინეთში.

იდეა პერიოდული გამომცემლობისა ჩინეთში ეკუთვნის უძველეს ეპოქას. ისე მაგალითად ცნობილია, რომ ჩინეთის ძველი ბოგდიხანები ყოველწლიურად უგზავნიდენ თავის ვასალებს კალენდრებს. შემდეგ ეპოქაში, მე-VIII საუკუნეში ქ. შ., როცა ჩინეთში გამოიგონეს წიგნის ბეჭდვა, ამ დროს უკვე არსებობდა გაზეთი (დი-ჩაო), რომელიც ჯერ კიდევ ხელნაწერად ვრცელდებოდა: იგი შეიცავდა ბოგდიხანის კარის ცნობებს. პირველი ნაბეჭდი გაზეთი აგრეთვე ჩინეთში იქნა გამოცემული: იგი იბეჭდებოდა ეგრედვე ბოგდიხანის კარზე და ოფიციალურ ცნობებს შეიცავდა.

მიუხედავად იმისა, რომ პერიოდულ გამომცემლობის იდეა ჩინეთში ისე ძველია, პრესსა თანამედროვე მნიშვნელობით ჩინეთში არ არსებობდა სულ ბოლო დრომდე. პირველი გაზეთი ევროპიული ტიპისა დაარსებულ იქმნა მხოლოდ 1870 წელს შანხაიში (სინ-ბაო ახალი გაზეთი)-მაგრამ ისიც წარმოადგენდა მხოლოდ ერთ ფურცელს და შეიცავდა ახალ ამბებს.

ჩინური პრესსის განვითარება იწყება მხოლოდ მე-XIX საუკუნის ბოლო წლებიდან; ხოლო 1911 წლიდან, ჩინეთის რევოლუციის შემდეგ, ჩინეთის პრესსა თან-და თან ევროპიულ ხასიათს ღებულობს, თუმცა რასაკვირველია იგი

მკვდარი ბრიუგგე.

დღეს თითქო ჩემთვის ქუთაისი მკვდარი ბრიუგგეა.
ყველა წარსული დანგრეული მოდის ბილებად(?).
აქ მოვარდება შრიალების ფრთები უცი
და ღამეებიან იკნებანი როდენბახებად.

გადიარის მთვარე მკვდარ ქალაქზე მარადი სევდით.
ო, რა უცხოა ეს სიღამე და გაშობრწყინა.
თავლდაფიწყებს ჩვენ მგზავრებო ამოდ ეძლევდით.
როგორც პრინცესა მელოდიარე—გვეძინება მოწყენა.

გუშინ ვიგრძენი ფერმკრთალები მიმოსდენ ქუჩაზე.
ისროდა ვეღეს სქემტორებად უძრაკედლისკე.
მე კი მათრობდა მხოლოდ ერთი ძვირფასი ლექსი:
„მიმქონდა ჩუმად ელენეს იმეტერისკენ".

მკვდარო ქალაქო გაიღვიძე! მოვიდნენ მტრები
და მოაბლოდა შებრძოლება, სითვარე დილის.
დატკბობილად შენ ცოცხალ გრიგალში ჰქრები
რომ ყველა ცრემლი დაეცემოდა სიყვარულ ტბილის.

თავზე ვევლემა ძველ ღმერთებით ცა შერყეული.
უნდა გაგვაცე ამ ქვეყანას საყველდაშარი...
ჩემთვის მიწვე(?) [illegible] ჩვენ [illegible]
და ვერ [illegible]

სანბენიტო.

... და შე ვკვდები, როგორც შე არ ვკვდები!
ტ. ტაბიძე.

თითქოს გავცივდი თოვლში ლარიბი:
დანესტიანდა ფილტვის კედარი.
შენ ჩემო ლანდო, ეის ეყვარები,—
გზადაკარგულო მუნჯო მედარო!
ჩემი ყრმა სული ოქროს სკივრებით
გამძაფრებულად ასე ქვითინებს:
დავიტანჯებით ჩვენ სატკივრებით
და მზე აღდგომას არ გაგვითენებს!

ეზლდავე(?) მიაფრენს ქარი ნუშობებს.
იმათთვის კუბო არსად ითვლება...
დღეს ჩვენც მოგვედო უნუგეშობებს:
შიშიანობა და გაყვითლება!
ქვეყნად მოვედით ჩემს უნებურად,
სადაც მითელიდენ დღეებს ციფრებით.
გლობუსის ტოროლას ხისლი ებარა
და მეცნიეროდით ცას განვივრებით(?).
ო, ის სოფელი: წმიდა, ფურცლის,—
არ იქნებოდეს ნეტავ რითიში...
სხვებისთვის ლოცვა და სიყვარული,
მეც გამყვებოდა სიქაოში!

სდგას ემიგრანტი მთვარის დაჭრით.
ცოდვილი სულნი სადაც იწვიან.
მოვალ ამაყად გულშენაქებ(?)
და სანბენიტო გადამიცვია!
მაღალ კოლონით სდგიან მწყობრები.
ყველას თავები დაუზნექია,
თქვენ ჩემო ძმებო და მეგობრებო:
ინკვიზიტორი ჩვენთვის პლექია(?)!
წაიღოს ჩემგან ღვთის წყევლიდან
თუ რამე დარჩით გასაქვითელი...
თორემ ჩემ ყვითელ ცეც სხეულიდან:—
აღარ დარჩება ფერილიც ყვითელი...

ლოცვა ხანჯლებით.

დაგებარია ისლამად
მთვარე ამონაგორი.
მდაგე დარბაისლურად
მაშიშების თაგორი(?).

გრთავენ მშვე-ამბარჩები:
ალრალი და სმეკალი(?),
სხეულს ცეკვა დარჩები,
ენებით რომ მოგეკალი.

თუ ვენერა მილოსელს
ახლა ვერ ვეღირსები...
კლეოპატრა ნილოსელს
დაჰკოცნიან მირზები.

მწვავემ და უკიდოლმა
ყელს კოცნები შეიბი
და ქარების კიდობლმა
შორს გაშალა შლეიფი.

შენთვის თუ მილოცნია
ყველა—ეს—გიტანჯალი...
ახ, რა ენებით პკოცნიან.
ახ, როგორი კლავს ხანჯალი!

ართემიდა.

შენი თვალები კუდიანის ჯადოს ჰფარავენ.
[illegible]
[illegible] ბაღებში [illegible] შენი გარემო.
[illegible]

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

[illegible]
[illegible]
[illegible]

[illegible]
[illegible]
[illegible]

რომელიც მოედო ეპიდემიასავით საფრანგეთს ომის დროს, და რომელსაც უნდა მიეწეროს უმთავრესად საფრანგეთის გამარჯვება. დღეს ეს ომის ცხელება დასრულებულად ითვლება და ძველი ტრადიციის ჟურნალები ისევ იწყებენ გამოსვლას ძველ ჟურნალებს პარალელით ემატებიან ახლები და საფრანგეთი განიცდის დიდ ალორძინებას.

საფრანგეთის ახალი პოეზია.

I უნანიმისტები.

ყველაზე ცხოველი და გავლენიანი ჯგუფი ფრანგი პოეტების დღეს დღეობით არის ეგრედ წოდებული შკოლა „unanimistes": შარლ ვილდრაკი, ჟორჟ დიუამელი, მარსელ მარტინე, ჟიულ რომენი, რენე არკოსი და სხვ. ამ შკოლის ფორმაცია მიიღო ლაბბეის წრიდან რომლის წევრებიც თვითონ აწყობდენ და ბეჭდავდენ თავიანთ ნაწარმოებთ). შარლ ვილდრაკი ავტორია ლექსების წიგნის: „Livre d'Amour" და „Decouvertes" კრიტიკულ პროზის კრებულის ყველაზე უფრო ცნობილი წიგნი ვილდრაკის არის „Les Chants du Désespéré", სამხედრო ლექსების კრებული.

მეორე მეთაური შკოლის არის ჟორჟ დიუამელი პოეტი, კრიტიკოსი და დრამატურგი მის ლექსების წიგნს ჰქვია სახელად „ელეგიები". ომის დროს დიუამელმა გამოუშვა წიგნი ლექსების „ოდეონი" და „La vie unanime" სულ უკანასკნელად გამოუშვა წიგნი: „საყვარლების მოგზაურობა". ჟულმა გამოუშვა წიგნები: „თქვენ ხართ ღვთაებანი" და „საათები". მანვე სთარგმნა ა. მილოკის „თირმეტი".

ჟორჟ შენევიერმა გამოუშვა წიგნი „Appel au Monde" წიგნი ლირიკის და ოდების.

ამ შკოლის პოეტების განსაკუთრებულ თვისებას შეადგენს vers libre, რომელმაც სამუდამოთ გასწყვიტა კავშირი რითმასთან და მეტრიულ ელემენტებთან ძველ კლასიკურ ლექსის ტრადიციებთან.

დადაისტები.

მეორე შკოლა ფრანგი პოეტების არის „Dada" დადაისტების წრეს შეადგენენ: ტრისტან ცარა, პიკაბია, რიბმონ-დესენი, სუპოლი. ისინი შეგნებულად უარყოფენ ძველ ხელოვნებას და ლიტერატურას. გაზეთები დაუმალავი შიშით აღნიშნავენ დადაისტების წინადადებას „დასწვით ლუვრი". დადაისტები დროგამოშვებით უშვებენ ფურცლებს და პროკლამაციებს აი ზოგიერთი მათ აფორიზმებიდან:

სიწმინდე—ზედმეტი ლარიბებისთვის, იყავით ჰაჰუიანი.

კი—არა.

„დადა" არსებობდა ყოველთვის: მადონნა იყო „დადაისტკა"

თუ თქვენ გქონდებათ თქვენი იდეები უნაყოფოთ და სასაცილოთ, იცოდეთ რომ თქვენთან საუბარს იწყებს „დადა".

დადაისტები აცხადებენ რომ მათ ჰყავთ ჯგუფები: ამერიკაში, ესპანიაში, გერმანიაში, იტალიაში, შვეიცარიაში და ბელგიაში.

ბერლინში მართლაც გაიმართა პროცესი დადაისტების ჯგუფის მწერლების თვითმკვლელობის ... ბაადერის და მხატვარ გროსის წინააღმდეგ, რომელსაც გამოაფინეს კარიკატურა არმიაზე.

დასავლეთ ევროპაში.

გამოვიდა მერესკოვის ახალი წიგნი „ანტროპოლოგია ეინშტეინის თეორიასთან დაკავშირებით". მერესკოვი ეინშტეინს დეკარტის მექანიკურ მოძღვრების გამგრძელებლად სთვლის და რომელსაც უპირისპირებს ნიუტონის დინამიზმს.

გერმანია.

გერმანიაში ბევრს ლაპარაკობენ ფრანც ვერფელის ახალ ტრილოგიაზე—„კაცი სარკის". აქ არის იგივე ფაუსტის პრობლემა. გავლენა სჩანს იბსენის („პერ გუნტი") და სტრინდბერგის („დამასკის გზით"). დრამატიული განხვლება სრულიად ახალია და ორიგინალური.

ახალი—ექსპრესიონიზმზე: გამოვიდა წიგნი კაზიმირ ედშმიდტის—„ტრიბუნიანი ნიმუში". ავტორი უხლოვესი ეპოქის დროის მომწველად სთვლის ექსპრესიონიზმს. პირიქით: მ. ჰერმანი თავის ახალ წიგნში „ახალი პოეზია და ხელოვნება ევროპაში" ექსპრესიონიზმს თვლის ძალზე ანტიჰერიულ მიმდინარეობად. ასანიშნავია აგრეთვე წიგნი ლ. შლიკის: „პიროვნება და ლემონცია". ... გარდაცვლილ ექსპრესიონისტს ... და თვითონ ექსპრესიონიზმს

საქვეყნოს ხელოვნების ლიტერატურულ მოვლენად. კურო ბოროტმოქმედი ეხება შეჰუ... და ლიტი ...ში მას.

გამოვიდა წიგნი ერნსტ კასსირერის—„იდეა და ფორმა". ავტორი პრობლემას სწავლობს გოეთეს, შილერის, კლაისტის და ჰელდერლინის მაგალითებზე. მთავარი აზრი: „ხაზგასმული ფილოსოფიური აზრის აქვს განსაკუთრებული კონკრეტ სულიერი სიცოცხლე, ძალა ფორმათა ქმნისა".

ბერლინში ამ ჟამად იმყოფებიან რუსეთის ფილოსოფოსები: ბერდიაევი, ფრანკი და სხ., რომელთაც იქ დაარსებიათ რელიგიოზური აკადემია.

ხელოვნება რუსეთში.

პოემა „ეინშტეინი".

უკრაინელმა პოეტმა და პროფესორმა ვ. ა. გადზინსკიმ დაასრულა და წაიკითხა ხარკოვის ლიტერატურულ წრეებში ახალი პოემა „ეინშტეინი", რომელიც ეხება უახლოეს ნიუტონის და ეინშტეინის სახელებთან დაკავშირებულ მეცნიერულ აღმოჩენათ.

ფუტურიზმიდან რეალიზმისაკენ.

„პროლეტკულტის" არსებული „სახვითი ხელოვნების განყოფილება"-მ ინდუსტრიალურ მხატვრობას მიჰყო ხელი. უკანასკნელ ხანში განყოფილებაში მონაწილეთ ემჩნევათ სრული გადახრა ფუტურიზმიდან რეალიზმისაკენ. ხელმძღვანელთა შორის აღსანიშნავი არიან: ეფროსი, პალმოვი და არვატოვი.

პუშკინის გამოუცემელი ნაწარმოები.

ინგლისში გამოვა ა. პუშკინის ჯერ გამოუქვეყნებელი ნაწარმოებები (მოთხრობები მაგიდისათვის).

სახელმწიფო გამომცემლობა

სახელმწიფო გამომცემლობამ მუშაობის გასაცხოველებად 5 მილიარდი მან. გადასდო. ამ ფულით განზრახულია ქაღალდის შეძენა, რომლის შემდეგაც იგი შეუდგება წიგნების გამოცემას წინასწარ შემუშავებულ გეგმის მიხედვით. მთავარი ყურადღება მიქცეული აქვს სახელმძღვანელოების გამოცემას. შემდეგ გამოცემული იქნება მეთოდური მარქსისტული ლიტერატურა, თარგმანები საერთაშორისო ლიტერატურიდან და ქართული კლასიკური ლიტერატურა. პირველ რიგში განზრახულია შემდეგ ავტორების გამოცემა. **ვაჟა-ფშაველა** დანარჩენი ორი ტომის, **ალექსანდრე ყაზბეგი** სამ ტომად, **აკაკი წერეთელი**—ორ ტომად. გარდა ამისა გამოცემული იქნება **ივანე მაჩაბელის** მიერ თარგმნილი შექსპირის დრამები სრულად. შემდეგ გამოიცემა **ვასილ ბარნოვის** ერთი წიგნი, და **შიო არაგვისპირელის** მოთხრობები. გარდა ამისა სახელმწიფო გამომცემლობის მიერ მიღებული იქნა დადგენილება, რომლის ძალით გამოცემულ უნდა იქნეს **შალვა დადიანის** პიესები ერთ ტომათ.

სამეცნიერო ნაწარმოებთაგან პირველ რიგში გამოვა პავლე ინგოროყვას „რუსთველიანა". დასასრულ გამომცემლობამ გაიღო 500 მილიონი მანეთი ფიროსმანიშვილის მონოგრაფიის გამოცემის წინასწარ ხარჯებისათვის. მონოგრაფიის გამოცემა მინდობილი აქვთ ტიციან ტაბიძეს და კირილ ზდანევიჩს.

საავტორო ჰონორარი.

სახელმწიფო გამომცემლობამ შეიმუშავა საავტორო ჰონორარი ორიგინალურ პროზისა, ლექსისა და ყოველ გვარი ნაწარმოებისათვის. ჰონორარი შემუშავებულია აგრეთვე თარგმნილ ლიტერატურისათვის.

პროფ. ივ. ჯავახიშვილის მიერ აღმოჩენილი ხელნაწერები.

როგორც გადმოგვცემენ სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, დამსახურებულ პროფესორის ივანე ჯავახიშვილს აღმოუჩენია ქართული უძველესი ხელნაწერი, რომელიც მე-VI-საუკუნეს ეკუთვნის ასეთ ხელნაწერების აღმოჩენა ერთი უდიდესი მოვლენაა ქართულ მეცნიერებაში, სახელმწიფო უნივერსიტეტი იწყობს საგანგებო ექსპედიციებს იმ მიზნით, რომ მოიპოვოს რომელიმე უძველესი ცალისათვის ძველი წარწერა. აქ უოველ სიტყვას უძლიერეს განსხვავებული მნიშვნელობა. პროფესორი ჯავახიშვილის მიერ აღმოჩენილ ხელნაწერების შემდეგ მდგომარეობა ძირეულად იცვლება, რა თქმა უნდა აზრი. შემდეგ შესაძლებელია მრავალი ჭეშმარიტ დებულებათ მიღებული აზრი ქართულ ენის ფორმების ცვლისა. თვით ქართული პოლიტიკური თუ კულტურული ისტორიის შესახებ სრულიად შეიცვლება. შესაძლებელია მრავალი ჰიპოტეზა დამტკიცდეს საბოლოოდ.

დაუფასებელი მნიშვნელობა ექნება აღმოჩენილ ხელნაწერებს ქართული ენის ეტიოლოგიის შესწავლისათვის. მხოლოდ ამ ხელნაწერებით ხდება შესაძლებელი შესწავლა წმინდა ქართული ენისა, იმ სახით, როგორათაც არსებობდა იგი მონღოლების შემოსევამდე, ვინაიდან აქედან იწყება ქართული ენის დეკადანსი: დაცემა, შერევა უცხო ენების გავლენით. უეჭველია აღმოჩენა თავისი მნიშვნელობით სცილდება საქართველოს საზღვრებს და მას საერთაშორისო ხასიათი ექნება.

როგორც გადმოგვცემენ, პატივცემული პროფესორი ივანე ჯავახიშვილი, ამ მოკლე ხანში წაიკითხავს საგანგებო მოხსენებას აღმოჩენილ ხელნაწერების და მათ მნიშვნელობის შესახებ. ჩვენ ვეცდებით შემდეგ ნომერში დაწვრილებითი ცნობების მოყვანას.

სარედაქციო კოლეგია.

ხელოვნების სასახლე

სერგ. ქ. № 13.

სრულიად საქართველოს ახალი მწერლობის კავშირი

A

მოხსენებანი, რომელნიც წაკითხულ იქნებიან კვირის საჯარო სხდომაზე 1923 წელს:

I. **გრიგოლ რობაქიძე:**
- ა. გოეტეს პერცეპცია
- ბ. ჰელდერლინ
- გ. ექსპრესიონიზმი
- დ. ლირიკის პრობლემა
- ე. შარლ ბოდლერ
- ვ. ახალი დრამა
- ზ. ვასილი როზანოვ
- თ. აპოკალიფსი და დეკადანსი

II. **პავლე ინგოროყვა:**
- ა. დიალოგი
- ბ. Parallélement
- გ. რიტმი ეპოქების
- დ. ჩახრუხაის-ძე. მეჯნუნი, პოეტი, მოგზაური-რაინდი
- ე. რუსთაველიანა, მეორე ციკლი მოხსენებათა:
  1. პოემის შესავალი და დასასრული, აღდგენილი ტექსტი
  2. რუსთაველი და რელიგია (ტენდენციის ხაზები პოემაში)
  3. რომანტიული ეპოსი მე-XII საუკუნის ქართულ პოეზიაში და ვეფხის-ტყაოსანი
  4. პოემის ორიგინალობის საკითხი.

III. **პაოლო იაშვილი:**
- ა. რემბო და პიკასსო
- ბ. სული და სოლდათი
- გ. ჰარმონიის პრობლემა (პუშკინი)
- დ. სინილისი, ქრისტე და პოეტი
- ე. ვაჟას პროზა

V. **ტიციან ტაბიძე:**
- ა. ივანე მაჩაბელი
- ბ. თავადი ლოტრეამონ
- გ. პატმოსის ქალაქი პოეტების
- დ. სმერდიაკოვი გიტარით
- ე. ავტოდაფე პოეზიის

VI. **ვალერიან გაფრინდაშვილი:**
- ა. საქართველო და დენდიზმი
- ბ. მისტიფიკაცია პოეზიაში (ჩატერტონი, მაკფერსონი, მერიმე).

VII. **ვახტანგ კოტეტიშვილი:**
- ა. თეორია ესთეტიური შემეცნებისა
- ბ. სანდრო ყაზბეგი
- გ. ალექსანდრიის დეკადანსი.

VIII. **კოლაუ ნადირაძე:**
- ა. მანეკენები (პორტრეტები პოეტების)
- ბ. ლეონარდო და ვინჩი
- ... რობელიანი

[pasted newspaper clipping:]

... განმარტებისათვის ... გაზეთში.

გაზეთ „რუბიკონი"-ს № ... ში მოთავსებულია წერილი: „სახელმწიფო გამომცემლობა". ამ წერილში მოყვანილი ზოგიერთი ცნობები ... არ შეეფერება. მწერალ ... რომანების გამოცემა სახელმწიფო გამომცემლობის საგამომცემლო გეგმაში არ შედის. მხატვარ ფიროსმანის მონოგრაფიის გამოსაცემათ შემდგარია სარედაქციო კომისია რომლის თავმჯდომარე არის სახალხო განათლების კომისარი ამხ. დ. კანდელაკი წევრებად კი სახელგამის კოლეგიის წევრები ამხ. რ. კალანდა და ა. აბაშელი. ამ სარედაქციო კომისიის განკარგულებაში გადადის ხუთასი მილიონი მანეთი. ტ. ტაბიძე და კ. ზდანევიჩი ითვლებიან სარედაქციო კომისიის თანამშრომლებათ.

სახელმწიფო გამომცემლობა.

[end of clipping]

... სათავეები.
...რიზმის თეორია.
... პრობლემა

...ოტეტიშვილი:
...ის
...უენორგია; კიტა აბაშიძე, არჩილ ჯორჯ-

...აკადემია

...მწერლობის კავშირის.

მოხსენებანი, რომელნიც წაკითხულ იქნებიან 1923 წელს.

I. **გრიგოლ რობაქიძე:**
- ა. ლირიზმი და პერსონალიზმი
- ბ. პოეზია და ასტროლოგია

II. **პავლე ინგოროყვა:**
- ა. სიტყვა, როგორც ფორმა
- ბ. ქართული ლექსი

III. **პაოლო იაშვილი:**
- ა. პოეტი და ბიოგრაფია
- ბ. ფრანსუა ვიონი

IV. **ტიციან ტაბიძე:**
- ა. ირონია და ცინიზმი
- ბ. პოეტი და გარეგნობა

V. **ვახტანგ კოტეტიშვილი:**
- ა. პლასტიკური ხელოვნება: ფორმა და შინაარსი
- ბ. ესთეტიკის ალეგორია

VI. **ვალ. გაფრინდაშვილი:**
- ა. ლირიკა, როგორც ეროტიზმი
- ბ. ახალი მითოლოგია

VII. **მიხეილ ჯავახიშვილი:**
- ა. მხატვრული შემოქმედების პროცესი (ვილჰელმ გუმბოლდტი და ალფანსი პოტებნია)

VIII. **გიორგი ლეონიძე:**
- ა. პოეტების გენეალოგია

IX. **შალვა აფხაიძე:**
- ა. ნიკოლოზ გუმილიოვი
- ბ. სარკის მისტიკა.

C

პოეზიის აკადემიაში

პავლე ინგოროყვას

მიერ წაკითხული იქნება მთლიანი კურსი:

ქართული საერო ლიტერატურა კლასიკური პერიოდის (VIII-XIV).

დაწვრილებითი პროგრამა გამოცხადდება კურსის გახსნის დროს

ახალ მწერლობის კავშირში.

კვირას, 4 თებერვალს, ხელოვნების სასახლეში (სერგ. ქ. № 13) სრ. საქართველოს ახალი მწერლობის კავშირი გამართავს

პოეტის შალვა კარმელის ხსოვნის საღამოს

დასაწყისი საღამოს 7 საათზე

პირველ თებერვლიდან მიიღება ხელის მოწერა

ტიციან ტაბიძის წიგნებზე

წიგნები გამოვა 6 ტომათ

I. **„ქალდეას ბალავანი" წიგნი ლექსების:**
1. ქალდეას ქალაქები. 2. ეფემერი მასკარადი 3. ორპირის სეზონი. 4. ცხენი ანგელოსით.

II. **გრიგოლ რობაქიძე.**
მონოგრაფია.

III. **„ცისფერი ყანწები"**
იდეოლოგია და პორტრეტები

IV. **დაისრული სებასტიანე.**
კრიტიკული პროზა.
1. „ქართული იდეა" 2. „პეტერბურგი" ანდრეი ბელის. 3. „ივანე მაჩაბელი" 4. „ნიკო ფიროსმანი" 5. „ირონია და ცინიზმი", პრობლემა მემარცხენეობის პოეზიაში. 6. დაისრული სებასტიანე (საქართველო და პოეზია). 7. „ლირიკის წინწკალი" 8. „პოეტი და გარეგნობა", 9. ასტრალი ძაღლი. 10. საქართველოს ორეოლი. 11. მეფის პრობლემა. 12. სიმღერა ვაჟა ფშაველისა. 13. თავადი ლოტრეამონ. და სხვა დაბეჭდილი და დაუბეჭდავი წერილები.

V. **ჟიულ ლაფორგ.**
წინასიტყვაობა, და თარგმანი „...".

VI. **ეპოპეა. ტიციან ტაბიძე.**
...

პირველი სამი ტომი გამოვა 15 აპრილს, დანარჩენი სამი ტომი 15 ივნისს. ... ხელის მომწერთათვის წიგნი ეღირება **ათი მანეთი ოქროთი ან ... მილიონი** ქართული ბონებით. ხელის მოწერა მიიღება ხელოვნების სასახლეში (სერგიევის ქუჩა № 13) სასახლის კომენდანტთან. ხელის მომწერი ვალდებულია პირველად გადაიხადოს ნახევარი, მეორე ნახევარი 15 აპრილიდან. ხელის მომწერნი მიიღებენ განსაკუთრებულ ბარათს. წიგნები დარიგდება მხოლოდ ხელოვნების სასახლეში გამომცემლობის აგენტები პროვინციაში არა ჰყავს.